9852
985ვ.მ.
985

№ 13

# თეატრი და ცხოვრება

ფასი 15 მანეთი

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!
გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

## 1910 წ. 1920 წ.

## ჟურ. „თეატრი და ცხოვრება"-ს

არსებობის ათის წლის შესრულების სახსოვრად

(პირველი ნომერი გამოვიდა 1910 წ. იანვ. 2)

დაარსების წელიწადი მეათე, გამოცემის მერვე

სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი.

დაარსდა 1910 წ. კვირა, აპრილის 4 გამოსვლა 1920 წ.



იოსებ იმედაშვილი 1910 წ.



იოსებ იმედაშვილი „თეატრი და ცხოვრება"-ს
რედაქტორ-გამომცემელი ([illegible])

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ხელოვნების ტაძარში

დღეს შესრულდა ათი წელიწადი მას შემდეგ, რაც ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება" პირველად მოევლინა მკითხველ საზოგადოებას.

დღეს ზეიმია მისი ათი წლის არსებობისა. იგი იმ დროს დაიბადა ჩვენი ცხოვრების ასპარეზზე, როდესაც ყოველი თავისუფალი სიტყვა ციხე-კატორღით იდევნებოდა, როდესაც ერის თავისუფლება სანატრელ იდეიად იყო გადაქცეული, მაგრამ ჟურნალმა გადალახა ყოველი დაბრკოლება და დღემდის ამაყად აფრიალებს ხელოვნების დროშას.

დიაღ, თუ დღეს ქართული აზროვნება ამაყობს იმ პოეზიით, რომელიც შანშიაშვილმა, გრიშაშვილმა და აბაშელმა აიყვანეს თავის სიმაღლეზედ, ამაში ამაგი ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება"-საც მიუძღვის. ეს იყო ის ნიადაგი, სადაც გაიფურჩქნა თესლი მთესველის.

გადააგდო იესომ ნაყოფი მწირ ნიადაგზედ და არ აღმოცენდა, გადააგდო შესაფერ ნიადაგზე და ერთი ათად გაიფურჩქნა აი, მნიშვნელობა ჩვენი ჟურნალისა. მან მისცა გასავალი ახალგაზრდათა ნიჭს, რომ გაფურჩქვნილიყო; მან ჩაუყარა ნიადაგი ავათ თუ კარგათ მხატვრულ ხელოვნებას. შეიძლება ის ზოგს ვერ აკმაყოფილებდეს, მაგრამ ბრალი ამაში ჩვენსავე გულგრილობას მიუძღვის. დიაღ, მიეცით ჟურნალს ნივთიერი დახმარება, გააუმჯობესეთ ტაძარი, სხივოსანი შემოქმედებისა და მნათობ ლამპარს მორწმუნეთაგან მუდამ იხილავთ.

არასოდეს არ ყოფილა საჭირო ხელოვნება ისე, როგორც დღეს. არასოდეს ყალბ აზროვნებათა ჯარი არ ყოფილა საშიში ისე, როგორც დღეს არის. ხელოვნებამ უნდა გაუშუქოს მოზარდ თაობას მისი საშიშროება; სადი ხელოვნება უნდა გახდეს ის საშუალება, რომელიც ახალ თაობას ააშორებს ყალბ, უმგვანო აზროვნების შეთვისებას, რომ ერი არ გადაგვარდეს.

აი, რატომ უნდა ვცდილობდეთ დავეხმაროთ მათ, ვისაც შემოქმედის ტაძარში სანთელი ადრევე დაუნთია, ვისაც ერის უკვდავების სული ხელოვნებაში დაუნახავს.

მაშ, ჩვენც მოქალაქენო, მივიტანოთ თითო აგური იქ, სადაც შემოქმედნი ღმერთს შეღაღადებენ.

მუშა მიხ. დევაძე

# ათი წელი უანგარო მოღვაწეობისა

ამ ათი წლის განმავლობაში „თეატრი და ცხოვრება" ერთად ერთი ჟურნალია, რომელიც მხოლოდ ხელოვნებას ემსახურებოდა, განსაკუთრებით სასცენო ხელოვნებას.

მარტო ამიტომ არის ეს ჟურნალი ქებისა და სახელის ღირსი, სხვას რომ თავი დავანებოთ.

ხელოვნების სამსახურში ამ ჟურნალს არ შეუტანია პარტიული საზომი, პარტიული მიკერძება და ამგვარათ დროშა ხელოვნებისა მან მოაშორა პარტიულ დროშას, ხელოვნება პოლიტიკისაგან განაცალკევა.

ჩვენს ცხოვრებაში პოლიტიკას ყოველთვის დიდი ადგილი ეჭირა, და ამ ჟურნალმა მტკიცეთ განაცხადა: ხელოვნებას უნდა ჰქონდეს თავის ადგილი და პატივი.

ხელოვნების სამსახურში ამ ჟურნალს არ შეუტანია სექტანტური სივიწროვე და მდაბალი მორალი, რასაც, სამწუხაროთ, ჩვენში უწინაც ჰქონდა გასავალი და დღესაცა აქვს.

ვინ არ იცის, რა ძნელია ახალგაზრდა, ჯერ უცნობი მწერლისათვის გზის გაკაფვა. „თეატრი და ცხოვრება" ერთად ერთი ჟურნალია, სადაც ყოველ ახალგაზრდას და იმის სალიტერატურო ვარჯიშობას პატივისცემით, სიყვარულით და თანაგრძნობით ეპყრობოდენ და ეპყრობიან.

ასეთი მიმართულების ჟურნალი, ცხადია, ბევრჯერ შეცდება და ალაგს დაუთმობს ისეთ მწერალს, რომელსაც ხელოვნებისა არა აბადია, მაგრამ სამაგიეროთ ის უწყობს ხელს ნიჭის გამომჟღავნებას და გაფურჩქვნას, რაც დიდი ღვაწლი და დიდი ღირსებაა.

ვისაც ჩვენი ხელოვნების მომავალი აინტერესებს, მისთვის ყოველი ახალი ნიჭის წარმოშობა და გაფურჩქვნა მეტად სასიხარულოა, ჩვენს დროში ჟურნალის გამოცემა პირდაპირ საგმირო საქმეა.

ამ მხრივ „თეატრი და ცხოვრება" ნამდვილი გმირია; მიუხედავათ მეტათ მძიმე და საშინელი პირობებისა, ის პირნათლათ ასრულებს თავის დანიშნულებას და უნდა მართალი ვთქვათ: დღეს ასეთი საარაკო სიძვირის ხანაში ის გარეგნობით ყველა ჩვენს ჟურნალს ჯობია. სასცენო ხელოვნება ჩვენში მხოლოდ მაშინ გაიპარჯვებს, როდესაც ის ჩვენს ხალხში გადავა. ამ მხარეს ჩვენი ცხოვრებისას არავინ არ აქცევდა ისეთ ყურადღებას, როგორც „თეატრი და ცხოვრება" თუ ვინმე ახალისებდა პროვინციის სცენის მოღვაწეებს და მუშაკებს, თუ ვისმე ახსოვდა ის ჩვენს დედა ქალაქში, ეს იყო უპირველესათ „თეატრი და ცხოვრება".

ჩემთვის ეს ჟურნალი განსაკუთრებით საყვარელია: მრავალი წლების განმავლობაში მე და ის ერთმანეთის მესაიდუმლენი ვიყავით და ერთმანეთს ვუზიარებდით ჩვენს ფიქრს და ზრახვებს, ჩვენს ჰმუნვას და იმედებს.

„თეატრმა და ცხოვრებამ" ჩვენს ხალხს დიდი სამსახური გაუწია და თუ ვინმემ შეიტანა სინათლე და შეგნება ჩვენს პროვინციაში, თუ ვინმემ შეაყვარა ჩვენს ხალხს კითხვა, ჟურნალი, ერთი მათგანი უსათუოთ არის „თეატრი და ცხოვრება". ეროვნული ხელოვნების აყვავება, ეროვნული სცენის ძლევამოსილება, აი რა იყო და არის წმინდა მიზანი ამ ჟურნალისა.

ამ საქმეს ემსახურება ის დიდის ენერგიით, მეტათ მძიმე პირობებში. მთელი ათი წლის განმავლობაში და თავისი რწმენისათვის არასოდეს არ უღალატნია

მან მისცა საზოგადოებას რაც შეეძლო, რისი ნიჭიც შესწევდა და ამ მიზნისთვის ის არ ერიდებოდა არავითარ დაბრკოლებას.

მთელი თავისი ძალ-ღონე, მთელი ნიჭი, ენერგია, ფიქრი მან შესწირა თავის წმინდა საქმეს და ამისათვის ის დიდი თანაგრძნობის ღირსია, საზოგადოება უნდა დაეხმაროს მა'ს და გაამხნევოს თავისი თანაგრძნობით.

თავისი ათი წლის მოღვაწეობით მან დაიმსახურა ასეთი თანაგრძნობა.

ეს ჟურნალი ერთათ ერთია თავის მიზნით, ჯერ მეორე სათეატრო ჟურნალი ჩვენ არ მოგვეპოება და განახლებულ და თავისუფალ საქართველოში უნდა აღდგე'ს და ფრთა გაშალო'ს ჩვენმა თეატრმა. ეს ხომ „თეატრი და ცხოვრების" მიზანია.

დავეხმაროთ მას ამ მიზნის მიღწევაში, ავაყვავოთ საერთო ძალ-ღონით ქართული სცენა და მისი ხელოვნება.

ვაშა „თეატრსა და ცხოვრება"-ს!

ვაშა იმის წმინდა მიზანს!

**ივ. გომართელი**



**იოსებ იმედაშვილი — 1918 წ.**

## კრიალოსანი ქარვიდან

**„თეატრი და ცხოვრება-"ს ათი წლის-თავი**

ჩვენი პოეზიის ბუმბერაზები ამ ათის წლის წინეთ უკანასკნელს ბასმას ავლებდენ ქართული მწერლობის ფერ-მრავალ, ძვირფას ქსოვილს.

გვიან ვაჟას ზღაპრული სიმღერა მისწყდა და ქართველი ერის სულის მინდიას უმემკვიდრეოდ მოუხდა სოფლიდან წასვლა.

გაზაფხული უახლოვდებოდა საქართველოს და მრავალი ჰანგი ჩამოაბნია ფოთლებიდან ბუნებამ.

შანშიაშვილი, გრიშაშვილი. აბაშელი, ფაშალიშვილი, ქუჩიშვილი, გ. ტაბიძე, — უცხო კრიალოსნის მძივებივით სცვლიან ერთი მეორეს და ბუნების ქორწილის მოლოდინში ჰანგნაირ ფსალმუნს ჰქმნიან, ერის აღდგომის ევლოგიის შესახვედრად.

მათ ლამაზი ბინა გამოძებნეს და ხელოვნების უსივრცო ტაძრის ერთ კუთხეში დასცეს ოცნების სუბუქი კარავი.

ეს კუთხე იყო „თეატრი და ცხოვრება".

**უცნაურმა კაცმა**, რომელიც ზარატუსტრას გძელ ყავარჯენით დაიარება დღესაც ჩვენი ცხოვრების უდაბნოში, შეიფარა იგინი და აღმოსავლეთური დარბაზობა გაუმართა.

**უცნაურმა კაცმა** იგრძნო, რომ მისი სტუმრები ქართული პოეზიის მასპინძლებად უნდა ქცეულიყვნენ და ნებიერ ოცნების თავადებს ასწავლა გზები მომავალ დიდი ოჯახისა, რომლის ზღუდეს ჯერ ხანად ალაყაფი შეხსნილი ჰქონდა და ბევრი უღირსი დაიარებოდა შიგ.

წელს მეთერთმეტე გაზაფხული დაიწვება მკათათვის ცეცხლში და მეთერთმეტე ზაფხული ჩვენი პოეზიის ბაღიდან ოქტომბრის ქართან ჩამოაბნევს უნაზესს ქარვებს...

**უცნაური კაცი** ჩამოივლის, აჰკრეფს და aaბამს ძვირფას კრიალოსანს მეთერთმეტე წლის გასავალზე ჩამოსაკიდად...

„თეატრი და ცხოვრება" დაამშვენებს მაგიდის ხავერდს, რომელსაც მუდამ გაერთობა თავადი-ქართველი ერი.

მე სტუმართა შორის გძელი მაყრულის ბანს ვიტყვი — ქართველი ერის ბედთან ჯვარის წერაში, სადაც **უცნაური კაცი** თამამად შემოვა და ყავარჯენს ხელოვნების ტაძრის თაღს ქვეშ მიაყუდებს ჯირითის ჩასაბმელად.

იქ ყველა მაყარი ლამაზად მორთული გამოვა და დოლის დასასრულს თამადის სადღეგძელოს დალევენ...

„გაუმარჯოს უცნაურ კაცს".

კახურში პოეზია პირველს იტყვის.

**ი. მოსაშვილი**

## შრომის ნაყოფი

(ჟურნ. „თეატრ. და ცხოვ." ათი წლის თავ )

მახსოვს ასეთი შემთხვევა: 1910 წ იანვრის ორს სადამოთი ჩვეულებრივი საზეიმო წარმოდგენა იყო განახლებულ ქართულ თეატრში ჩვენი თეატრის დაარსების აღსანიშნავად.

მე ვიდექ მარცხნივ ასავალ კიბის თავში. ანტრაქტი იყო. ამ დროს დავინახე, იოსებ იმედაშვილს ხელში მთელი შეკვრა რაღაც ქაღალდებისა ეჭირა; პირზე ღიმი უკრთოდა და თავისებურად აჩქარებით მოდიოდა, თითქოს დაჭკვიანებია და ჭსურს სიჩქარით დრო მოიგოსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რომ მომიახლოვდა, შემეკითხა: — ეგ რა გიჭირავს, იოსებ? და ხელი წავატანე.

იმანაც პასუხის ნაცვლად აიღო და მომაწოდა ერთი ცალი თავისი ახალი ჟურნალისა.

დავხედე, წავიკითხე: „თეატრი და ცხოვრება“, № 1, 2 იანვარი 1910 წ.

პირველ გვერდზე გ. ერისთავის სურათიც იყო.

მეტის მეტად მიამა...

ვიცოდი, რომ ჟურნალი უნდა გამოეცა, ცოტაოდენი მასალაც მიცემული მქონდა, მაგრამ თითქოს არ ველოდი ასე მალე მის გამოსვლას.

ეხლავე ჟურნალი ხელში მეჭირა და ვკითხულობდი.

დამავიწყდა თითონ რედაქტორ გამომცემელი და ჟურნალის ინტერესმა მთლად შემიპყრო.

ფეხმოუცვლელად იქვე დავიწყე გადათვალიერება...

ნომერი კოხტად იყო გამოცემული... მაგრამ ი. იმედაშვილს ხომ, როგორც გრიშაშვილსაც, გამომცემლობის დიდი უნარი აქვს!

შინაარსითაც შესაფერისად შერჩევით იყო შედგენილი.

სურათებითაც შემკული...

ჩემი სიხარული იყო წრფელი! მე გამიხარდა ამ ჟურნალის გამოსვლა იმიტომ კი არა მხოლოდ, რომ შიგ ჩემი ნაცოდვილარიც იყო დაბეჭდილი (ესეთი გრძნობაც, უეჭველია, იყო ჩემში, როგორც ყოველს ავტორს უხარია თავისი ნაწარმოების გამოქვეყნება).

ამაზე მეტად მახარებდა, როგორც ქართველს, ის, რომ ახალი ჟურნალი ემატებოდა ჩვენს მწერლობას და ჟურნალ-გაზეთების უბრალო სიმრავლეც ხომ ერის კულტუროსნობის საზომია!

სასიხარულო იყო კიდევ იმიტომაც, რომ იმ ჟამად თბილისში ისეთი თვალსაჩინო ჟურნალი არ გამოდიოდა, როგორც „თეატრი და ცხოვრება“ იყო. და ეს კი, იმედს იძლეოდა, ჩვენს მაშინდელს ერთად ერთს ეროვნულს კერას — ქართულს თეატრს დაუახლოვებდა ხალხს, იზრუნებდა მასზე შეძლების დაგვარად.

ამას ზედ დაუმატეთ ის გარემოებაც, რომ შიგ დაიბეჭდებოდა თეატრის და საზოგადო მოღვაწეთა თუ სხვა სურათები; ეს კი გამოიწვევდა ცხოველს ინტერესს როგორც მკითხველ ქართველობაში, ისე მოაზროვნე-მოღვაწეთა შორის. ამასაც ხომ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ექნებოდა...

ჩემი მოლოდინი გამართლდა! არამც თუ გამართლდა, გადააჭარბა კიდეც!

და აი როგორ:

მე მეგონა, რომ იმედაშვილი, მიუხედავად მწერალთა და მოღვაწეთა თანაგრძნობისა და დახმარებისა, როგორც უსახსრო, ღარიბი კაცი დიდს ხანს ვერ შესძლებდა ამ გამოცემის გაძღოლას.

თუ დასაწყისშივე არ დაეცემოდა თავის მისწრაფების მსხვერპლად დამარცხებული, რამდენიმე ხნის — ერთი, ორი წლის — შემდეგ მაინც ხელს აიღებდა ამ მძიმე და პასუხსაგებ საქმეზე აუტანელ პირობების გამო.

მართალია, მისთვის ეს საქმე მძიმეც იყო, ბევრჯერაც მიიღო შენიშვნები სხვადასხვა გვარი, ნაკლიც ჰქონდა...

მაგრამ იმედაშვილმა ქედი არ მოუხარა დროებას, ზურგი არ აქცია თავის საყვარელ საქმეს და ყურადღება არ აქცევდა ბოროტ ენათა სისინს...

იგი განაგრძობდა თავის შრომას... ისეთს შრომას, რომლის გაწევას ბევრნი ვერც კი შეჰბედავდენ.

აკი ერთ ხანად ინტელიგენტთა ერთმა ჯგუფმა, იმედაშვილის ციხეში ყოფნის დროს, სცადა განეგრძო მისი საქმე, მაგრამ ორიოდე ნომრის გამოცემის შემდეგ ხელი აიღო უმადურს შრომაზე.

იმედაშვილი კი მარტოკა უძლებოდა ყველაფერს! და ეს იმის ბრალი იყო, რომ მას შრომისმოყვარეობასთან ერთად ჰქონდა უნარი თავდადებისა...

იგი შრომობდა თავის ჟურნალისთვის თავდადებით.

ყველა ქართველმა რომ ისე ერთგულად აასრულოს ნაკისრი მოვალეობა, როგორც ამას იმედაშვილი ასრულებს, ჩვენ ბედნიერი ხალხი ვიქნებოდით.

მიუხედავად იმისა, რომ იგი განიცდიდა ოჯახში დიდ ნივთიერ გაჭირვებას, რომ იგი დევნილი იყო ძველი მთავრობისაგან და საზოგადოების ერთი ნაწილისაგანაც, გულგაუტეხლად განაგრძობდა ჟურნალის გამოცემას.

ამ გაბედულმა კაცმა იქამდის მიაღწია, ისე დააყენა საქმე, რომ მისი ჟურნალი სხვა ჟურნალ-გაზეთებზე ნაკლებ არ არის გავრცელებული.

ჩვენი ქვეყნის რომელს კუთხეშიც გნებავთ მიხვიდეთ, მისი ჟურნალი წინ დაგიხვდებათ და იმედიანად შემოგცინებთ.

მას საკმარისი რიცხვი მკითხველებისაც ჰყავს და თანამშრომლებისაც.

იმედაშვილმა ბევრს ახალგაზრდა ნიჭიერ მწერალს გაუხსნა გზა წარმატებისა მწერლობის ასპარეზზე.

მანვე ცალკე წიგნებად გადაბეჭდა თავის ჟურნალიდან ბევრი პიესა. ამგვარად გაიარა შრომის ათმა წელმა. და აი დღეს ვხედავთ, რომ იმ საშინელ პირობებშიც კი, როგორიც შექმნილია ჩვენი ქვეყნის ეკონომიური კრიზისის გამო, იმედაშვილის ჟურნალი გამოდის უფრო გაფართოვებული, — უფრო გამშვენებული, ვიდრე ბევრი უფრო გავლენიანი თანამედროვე ჟურნალ-გაზეთები.

ეს კი სულ იმის მეოხებით, რომ იმედაშვილი შესაფერ ნიჭთან ერთად დაჯილდოვებულია დაუშრეტელის ენერგიით, დაუღალავის შრომის მოყვარეობით და საქმისთვის თავდადების უნარით.

ჩემთვისაც, როგორც ერთი ძველი თანამშრომლისა და თანამგრძნობთაგანისთვის, მისი ჟურნალის წარმატება სასიხარულოა.

ვუსურვებ იმედაშვილს ჩვეულებრივს მხნეობას და წარმატებას მისთვის ძვირფას საქმეში მკვდრეთით ამდგარ, თავისუფალ საქართველოს კალთის ქვეშ.

თუ ცივ ზამთარში ყვაოდა ნაზი ყვავილი, თბილს გაზაფხულზე ტურფად გადაიფურჩქნება იგი ერის სადიდებლად.

**დ. ნახუცრიშვილი**

# გაჭირვებაზე გამარჯვება

ათი წელიწადი შესრულდა, რაც „თეატრი და ცხოვრება“ არსებობს; დიდ ათი წელიწადია, რაც ის დაუღალავად ერთსულოვნურად ემსახურება, როგორც თეატრის საქმეს, ისე მთელ ერს, მიუხედავად ათასგვარ აუტანელ დაბრკოლებისა. ვინ მოთვლის რამდენი ვაი-ვაგლახი არ გადახედია მას, რამდენი დევნა, დამცირება, უსამართლო ცილისწამება, სიღარიბე, უთანაგრძნობლობა და სხვა, მაგრამ ის ერთხელაც არ შემკრთალა, არ შეჩერებულა და უფრო ფრთა-გაშლილი აღმაფრენით ასრულებდა თავის დანიშნულებას.

ის სიმართლით სავსე ჟურნალია, მიულგომელი. მას ტყვილი არ უყვარს, მაგრამ არც სინამდვილეს დაემალება; ის პირამთქმელი, გაბედულია, მას ვერ აშინებს კარზე მომდგარი უბედურება. და არც ერთი წამითაც არ დაუკარგავს იმედი კარგი მომავლისა. ის ყოველივე წვრილმანსაც კი თვალყურს ადევნებს და აღუნიშვნელი იშვიათად, რომ რამე დარჩეს, თუ კი ეს საჭირო იქნება, როგორც ქვეყნისთვის აგრეთვე პიროვნებისათვისაც. არც ერთი მწერალ-მოღვაწე, არც ერთი ქველმოქმედი არ დარჩენილა, რომ მის ფურცელზე შესაფერი ალაგი არ დაეთმოს და არ გაეცნოს საზოგადოებისათვის ყველასაგან მივიწყებული ზოგი ჩუმი კეთილი მოქმედი ადამიანი და სწორედ ამიტომ არის მისი დამფასებელნი უმართავენ მას საზეიმო დღეს მისი ხანგრძლივი არსებობისათვის. მადლიერ ხალხს არაფერი არ გამოეპარება. ვინ კარგათ იცის, ვინ არის პატივისცემის ღირსი და აკი არ დასტოვებს უყურადღებოთ ყველასათვის თავგანწირული ჟურნალი?

ვაშა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებას“, ვაშა მის დაუღალავ ხელმძღვანელს, რომელსაც არა ერთხელ უნახავს შავი დღე გაჭირვებისაგან; წვრილი ცოლშვილი, სიღარიბე, ტყვეობა და სხვა ათასი...

ვის არ უნახავს ის უძილო, მშიერ-მოღლილმოქანცული, ყინვიან დღეში უცეცხლო ოთახში, გაყინულ ხელებით ჟურნალისთვის ასოებს თვითონ აწყობდა; ის იყო რედაქტორ-გამომცემელი, ასოთამწყობი, კორექტორი, და ხანდახან დამტარებელიც. ვისაც ეს არ განუცდია, ის ჯეროვან ფასს ვერ დასდებს ამ აუტანელ შრომას. დიდ ასე წვითადა და დაგვით გამოდიოდა „თეატრი და ცხოვრება“ ათი წლის განმავლობაში, მაგრამ ის მაინც მედგრად უდგა დაბრკოლებას და განაგრძობდა თავის გზას მიზნისაკენ, რომელსაც მიაღწია კიდეც.

გულწრფელი სალამი ენერგიულ მუშაკს იოსებ იმედაშვილს! უსურვებ შემდეგშიაც არ დაეშვას მკლავები და განეგრძოს შრომა თავისუფალ ასპარეზზე.

**დარია ახვლედიანისა**

# ჟურნალის ათი წლის თავის გამო

ქართველ საზოგადოების ეროვნულ გრძნობის გაღვიძებაში, ეჭვ გარეშეა, ქართულ ლიტერატურას და პრესას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის. კორიფეებიდან დაწყებული უკანასკნელ ნორჩ მწერლამდის სულ „მამულის სიყვარულს“ ჩაგვძახოდენ ყურში და რა შედეგი მოჰყვა ამ განუწყვეტელ მოწოდებას და გაფხიზლებას, დღეს ყველა თავის კეთილის თვალით ნათლად ჰხედავს. მე მახსოვს ის დრო, როცა ქართულ წიგნს ბაზარი არ ჰქონდა; უფრო მეტი— როცა წიგნის გამოცემისთვის თითქმის არავინ ზრუნავდა. ორ-სამ წელიწადში რომ ერთი პატარა ბროშიურა გამოსულიყო, დიდად გასაკვირველი და გასახარი ამბავი იყო. მახსოვს სერგი მესხის „დროება“. ამ ჩვენი გაზეთების მამა-მთავარს პირველად მტკავლნახევარი სიგრძე-განი ჰქონდა და სერგი მესხი იყო არამცთუ მისი მარტო რედაქტორი, არამედ ამომწყობი, კორექტორი, კორესპონდენტი და... ზოგჯერ ერთად-ერთი მკითხველიც. მესხი შეიქმნა მსხვერპლად თავის საყვარელ გაზეთისა და იდეისა: მან მამულის სიყვარულის და მის სამსახურის სარბიელზედ დასდო თავი ისე, როგორც სწირავს თავს ნამდვილი მეომარი ბრძოლის ველზე.

„დროებას“ და სერგი მესხს მოჰყვა მთელი რიგი მემკვიდრეებისა. ქართული პრესა თავგამეტებით იბრძოდა, იცავდა ეროვნობას, სამშობლოს, ენას. რუსის სკოლაში, რუსულად გაწრთვნილ ქართველ ახალგაზრდობის გადმორჯულება და საჩვენოსკენ მისი გამობრუნება ადვილი საქმე არ იყო. რუსული წიგნი და რუსული გაზეთი იყო ნამდვილი მისი მიათხოვნილება. ქართული ლაპარაკი აღარავის ეხერხებოდა. ოჯახშიაც-კი ბავშვი ტიტინს პირველად რუსულად იწყობდა. ორატორები საზოგადო კრებებზედ სიტყვის დასაწყისში აცხადებდნენ: „ნება მომეცით ჩემი აზრი რუსულად მოგახსენოთ, რადგან ქართულად არ მეხერხებაო“.

აი, ამ მხრივ გამოიჩინა ჩვენმა ჟურნალ-გაზეთობამ ჭეშმარიტი უნარი და გადაგვარების გზაზედ დამდგარი ქართველი ახალთაობა ნორმალურ კალაპოტში ჩააყენა: ქართველს ქართული ასწავლა, ქართველს ქართული კითხვა და ლაპარაკი შეაყვარა და, ბოლოს, ქართველს საქართველო აპოვნინა.

ჩვენი „თეატრი და ცხოვრებაც“ ამ ათი წლის განმავლობაში პირნათლად და თავგამოდებით ემსახურებოდა ამ დიად იდეას. ვაშა ჟურნალს, რომ ამ ხნის განმავლობაში იგი არ შეუშინდა არავითარ დაბრკოლებას!

ჩვენს ჟურნალს ცხოვრების ნამდვილი ალღო ჰქონდა აღებული: მას თეატრი მიაჩნდა ხალხის აღმზრდელ სკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლად, სცენა კათედრად და მაყურებელნი მსმენელებად, მოსწავლებად.

ეს იყო მიზეზი, რომ ჟურნალში მუდამ საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი ყოველგვარ მოვლენას სათეატრო სფეროში. მას დედა ქალაქთან ერთად არასდროს დავიწყებული არ ჰქონია პროვინციაც. ჟურნალი მკითხველს ყოველთვის ანგარიშს აწვდიდა სოფლებში წარმოდგენების მართვის და მათ მიმდინარეობისას იგი, მიუხედავად საშინელ სიძვირისა, სახსარს არ ჰზოგავდა სათეატრო მოღვაწეთა და ადგილთა სურათების მოთავსებისათვის. დაჟინებით და წვრილ-წვრილად აღნიშნულ ამბებით ჟურნალმა მოაგროვა თვალსაჩინო მასალა ქართულ თეატრის მომავალ ისტორიისათვის.

დიახ, არც ერთ წამს ჟურნალს არ უღალატნია თავის მიზნად დადებულ ორი საგნისთვის: ერთის მხრივ საზოგადო ქართული ცხოვრება და მეორეს მხრივ, კერძოდ, თეატრის საქმე,—აი რის სარკეს და განმარტებას წარმოადგენდა ჩვენი გამოცემა.

აუტანელ პირობების წყალობით გაჭირვებაში ჩავარდნილი ჟურნალის ნივთიერი დახმარება, რომელიც განუწყვეტლივ ყოველის მხრიდან მოსდის რედაქციას, უტყუარი ნიშანია იმისი, რომ მკითხველის გულში მას უკვე დამახურებული აქვს ჯეროვანი სიმპატია, თანაგრძნობა, რომ ამგვარი გამოცემისთვის ჩვენს ხალხში ნიადაგი მომწიფებულა და მის არსებობა აუცილებელ მოთხოვნილებად გარდაქცეულა.

მაშ ვუსურვოთ „თეატრსა და ცხოვრებას“ დღეგრძელობა და სიკეთე არა მარტო ერთი ათეულის მანძილზედ, არამედ საუკუნოებით. ეს ასეც მოხდება, თუ მკითხველი საზოგადოებაც თავის მოვალეობას არ დაივიწყებს და ჟურნალს მოკეთეობას აღუთქვამს არა მარტო სიტყვით, არამედ, უფრო მეტად, საქმით.

**ალ. მირიანიშვილი**

# ,,თეატრი და ცხოვრება-''ს

ათი წელიწადია, რაც ,,თეატრი და ცხოვრება'' გამოდის და ამ ხნის განმავლობაში, მე შეუწყვეტლივ თვალს ვადევნებდი იმის სვლას, როგორც სხვა ყველა ქართულ გამოცემებს.

თვით რედაქტორის ბატ. იოს იმედაშვილის თავგანწირული შრომა, მოწამებრივი ტანჯვა საქმისადმი, ყოველთვის იწვევდა ჩემში გაკვირვებას, გულის ტკივილს და თან ახარებდა ჩემ სულს იმითი, რომ ქართველი კაცი, ეს თუმცა ყოველთვის რაინდი, მაგრამ ბელეში დარდის ამყოლი ცუღლუტი, ასეთ ნემეცურის ხასიათის სიმტკიცით, შეურყეველის ენერგიით ებრძოდა გარემოებას და თავის გუთნის კვალი გაჰქონდა. და გამოჰქონდა, რომ სამშობლოსთვის უხვად მოსამკალი ყანა მოეყვანა.

...მაგრამ მე ვერაფერს ვიტყვი იმაზე, თუ რამდენად მიაღწია იმედაშვილის ,,თავგანწირულმა სულის კვეთებამ„ თავის მიზანს და ნერგმა მისგან რგულმა რა გვარი ნაყოფი გამოიღო და, ვგონებ, რომ ბატ. რედაქტორი ,,თეატრი და ცხოვრება''-სი არ გამიწყრება, თუ ვიტყვი, რომ ჩვენში კრიტიკა და განქიქება ყოფილიყო, ასე დიდხანს, ასეთის დიდის შრომით და დიდის ზნეობრივის საფასურით გამოცემა, აქამდე უთუოთ სხვა გზას დაადგებოდა, სხვა პროგრამას შეიმუშავებდა, თავისის სისხლით და ძალღვებით გაპოხიერებულ ნახნავში უფრო კარგს, უფრო საჭირო და მარგებელს თესლს დასთესავდა.

გასპეციალიზაციება ყოველის დარგისა და სათეატრო ჟურნალისა გაოდამეტად, საუკეთესოდ მიაღწევს თავის მიზანს და ჩვენ ,,თეატრი და ცხოვრება''ს-კი სწორედ სპეციალური და მიზანშეწყობილი მუშაობა ესაჭიროება.

პოლიტიკურმა მიმართულების მწერლობამ ჩაყლაპა მთელი ჩვენი მკითხველი საზოგადოების ყურადღება. პოლიტიკურმა, პარტიულმა ბრძოლამ დაიკავა მთელი ჩვენი ცხოვრების შინაარსი, მაშინ, როდესაც ჩვენი ერის გონებრივი და ზნეობრივი არსებობა სრულიად განუვითარებელი რჩება და რაღაც მახინჯს, უსუსურს, თავდიდა რასიტინისტს დაგვამზგავსა.

მიეცით ხალხს საკითხავად საღი, გონივრული და მშვენიერებით აღსავსე ნაწერები, რომ ნაკითხმა და განვითარებულმა ადამიანმა შეგნებულად აასრულოს თავის პოლიტიკურ-მოქალაქობრივი მოვალეობა, თორემ ,,ყიყლიყოებმა'' გამოაყრუეს ქართველის სმენა და შეიძლება ის ხრონიკულად დაყრუვდეს და ყრუს მოსარჩენად კი, როგორც ვიცით, ჯერ წამალი არ აღმოჩენილა.

**ეკ. გაბაშვილისა**

# თეატრისა და ცხოვრებისათვის

საძნელოა მუდამ საზოგადო ასპარეზზე გამოსვლა.

ამ სიძნელეს ორი მხარე აქვს: ერთი დიდი პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე, ესე ვთქვათ მიზეზი შინაური, და მეორე შენზე დამოუკიდებელი დაბრკოლებანი, ესეც გარეული მიზეზი.

ამ ორ სცილლა და ქარიბდას შუა მიმდინარეობს საზოგადო ასპარეზზე გამოსული პიროვნების თუ დაწესებულების ცხოვრება.

მე ეხლა ჟურნალზე ვლაპარაკობ. ჟურნალი კი დაწესებულებაა, უზარ მაზარი, მოსავლელი საქმე.

ჯერ ეხლაც რა ძნელია ჟურნალის გამოცემა (თუმცა ეხლანდელი სიძნელე სულ სხვა თვისებისა) და რა ძნელი უნდა ყოფილიყო წინეთ, იმ დუხჭირ დროს, როდესაც ჰაერი შენუთული და დახშული იყო სასტიკის რეჟიმით და ყოველი კულტურული მოვლენა იდევნებოდა.

ხოლო მკაცრი ცენზურის გარდა მაშინაც არსებობდა სხვა დაბრკოლებანიც: უფულობა, გულ-გრილობა მკითხველ საზოგადოებისა, ანუ უკეთ, ამ მკითხველთ დიდი სიმცირე.

რომელიც თავის ხელით აქცევდა საჩაიე კუბს, ეზიდებოდა მის ლორლს, აშენებდა სცენას, სახლებიდან მოჰქონდა სცენის ავეჯეულობა სცენის მოსაწყობად მუთაქა-ფარდაგები, სცენისათვის ტანისამოსები, სცვლიდა დეკორაციებს ანტრაკტების დროს და თანაც სცენაზე თამაშობდა.

აი, ვინ არის იოსებ იმედაშვილი, აი ვინ უდგა სათავეში „თეატრი და ცხოვრებას“.

„თეატრი და ცხოვრების“ დაარსებამდენ სხვა გაზეთებს თეატრისთვის არ ეცალათ, შეხვდებოდით მხოლოდ რამდენიმე რეცენზიებს და ასეთი დიდებული საქმე, როგორიც არის თეატრი, თითქო ცხოვრების უკანონო შვილიაო, მივიწყებული იყო. მაგრამ „თეატრი და ცხოვრება-“მ გახსნა კარები თეატრისა და მისცა ბინა თავის კალთებთან მის მოღვაწეებს.

ხალხი არ დაივიწყებს „თეატრი და ცხოვრებას“ იმიტომ, რომ ხალხის ცხოვრება იგივე თეატრია, რომლის ფარდაც იხდება ყოველი კაცის დაბადებიდან და ეშვება სიკვდილის დროს. მაშ გაუმარჯოს „თეატრსა და ცხოვრებას“! გაუმარჯოს მის 10 წლის მოღვაწეობას!

ძველი სცენის მოყვარე **გიორგი ჯაბაური**



**იოსებ იმედაშვილი** (7) სახალხო თეატრის ძველ დამსახურებულ სცენის მოყვარეთა შორის (ავჭალის აუდიტორიაში რეჟისორობის დროს): 1, ლეგრანი, 2, ნიკო გოცირიძე, 3. ა. ბაჯიაშვილი, 4, სოსო ივანიძე, 5, შოთაძე, 6, ცხომელიძე, 7, იმედაშვილი და 8 რ. სალოყაია (გადაღებულია 1894 წ.)

# შვილი

(ძღვნად იოსებ იმედაშვილს)

ყველამ იცოდა, რომ მწერალი იგი თავის შემოქმედების ცხოვრების სევდიან სურათებისგან ქმნიდა. მისი სიტყვები ქაღალდზე ცივი ასოებით გადმოტანილი სულის ამათრთოლებელი იყო.

როცა ქმნიდა ის—სტიროდა.

ბევრჯერ მელანს მისი ცრემლები შეერთებია და მკითხველებიც, როცა კითხულობდენ მის ნაწერს, იცრემლებოდენ.

და ასე გრძელდებოდა სისხლში და ცრემლებში სიცოცხლე მწერლისა.

განცდისგან გამოწვეული ტანჯვა მძიმე იყო მისი სულისთვის.

და ამასთან ცხოვრება კიდევ უფრო სასტიკი და შეუბრალებელი.

მაგრამ მწერალს სწამდა, რომ თვით ტანჯვა იყო მისი შემოქმედების უშრეტი ოაზისი და უყვარდა იგი.

* * *

— კმარა, გაწყდა მოთმინების ძაფი! აღარ შემიძლია, გადავიკარგები სადღაც შორს; მოხედე ოჯახს,—ეუბნება ცოლი და ცრემლიანი თვალებით თავზე ადგას.

მწერალი უცქერის ცოლს, მის თვალებში ღრმა იდუმალი სევდაა ჩაქსოვილი, მისი სიტყვები, მისი კვნესა, ეს მშვენიერი ნაფლეთია მწერლისთვის, და იქმნება ახალი სურათები სინამდვილისგან ახალი სტრიქონები მისივე საწარკვეთილ ცხოვრებიდან.

— აბა, შეხედე სიღარიბემ თავისი შავი სახე გვიჩვენა: ჩვენი პატარა ნორჩი შვილის სიცოცხლე ქრება,—იმეორებს საწყალი დედა.

იქ მეორე ოთახში იწვა პაწია შვილი. კვნესოდა უსიტყვოთ, სიცხისგან გაწითლებულ თვალებს სივრცეს აჩერებდა. მწერალმა შეხედა მას, დასდო კალამი და გასწია, მივიდა შვილთან, მხოლოდ მისი უტყვი კვნესა არღვევდა სამარისებურ სიჩუმეს.

ბავშმა იგრძნო მამის მიახლოება. პაწია, ჩონჩხათ ქცეული, ხელები შეახო მის ჭაღარა წვერს.

— აბა, დაუკვირდი, როგორ უხარიან შენი ახლოს ყოფნა. სანამ განიკურნებოდეს ნუ მოშორდები, წერას მერეც მოესწრები.

მაგრამ წუთი და მწერლის გონებაში რაღაც ახალმა სურათებმა დაიწყეს კიაფი.

უმანკო ბავში, სიკვდილის ცელი, გაუშლელი სიცოცხლე და სიკვდილი.

სიღარიბის იმედი... და ქრება.

დედის, მამის ცრემლები... არავინ გამგონე. სამება და მერე ორი დარჩენილი ატირებული სახე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რისთვის!! და ატირდა მწერალი, ქვითინებს ცოლი, სუნთქვა მძიმდება ბავშის, და მწერალი ისევ მაგიდასთან არის. თეთრ ქაღალდზე აღიბეჭდება ახალი სათაური მოთხრობისა.

— „შვილი“

სცურავს კალამი ქაღალდზე და მას უერთდება ტირილი დედის.

კვნესის პაწია და ეს კვნესა გადადის ქაღალდზე.

ჩუმ ცრემლებს აფრქვევს მწერალი და ასოები სცურავენ მის წვეთებზე.

— მოდი, ბავში უკანასკნელ წუთებშია! ისმის ყრუ ძახილი დედის. მამას ესმის, და ეს ძახილი გადადის ქაღალდზე. დედა ვერ შორდება სარეცელს, ის გრძნობს საშინელებას.

ვიღაცამ გადიხითხითა ოთახში. სიჩუმეა...

*
* *

მწერალი ისევ სწერს, წუთი და ხელში კალამი გაუშეშდა. რაღაც საშინელმა გრძნობამ შიშის ბრჭყალებში მოამწყვდია. დახედა ნაწერს, ასლია მისი ჩაგრულ-წამებულ ცხოვრების, და უკანასკნელი თავი კი თვით არსებული სურათი, რომელიც საერთო სევდას იწვევს: რისთვის შეჩერდა?—კითხულობს უკანასკნელ წინადადებებს.

„... და ბავშის უკანასკნელი სუნთქვა სევდიან მწუხრის ლოცვად ისმოდა, რომელიც გამოუთქმელ ტანჯვით ახალგაზდა სიცოცხლე უხილავ შემოქმედს დახმარებას სთხოვდა, რომ მშობლები ობლად ეულად არ დარჩენილიყვნენ, მაგრამ“.. და აქ გაშეშდა მწერალი, მოაგონდა შვილი, სინამდვილე,—ეს ხო მისი ცხოვრების მწარე ანარეკლია.

— ღმერთო!.. უკანასკნელი წინადადება... და იქ ოთახის სიჩუმე თითქოს ეძახის მას, წამოვარდა ზეზე, შეტორტმანდა—მივიდა ბავშთან და... იქ ბავში სიცოცხლე, სიმ-გაწყვეტილი ანგელოზებრივი სახით უძრავად ძევს, ის აღარ სუნთქავს.

დედა გულწასული იქვეა.

— ოხ, ჩემი ერთად ერთი შვილი!

და მამა საცოდავი კვნესით ჩაეკრა ბავშის გაციებულ სხეულს.

*
* *

ბავშვი დაასაფლავეს. მეორე დღეს მწერალი სახე გაფერმკრთალებული მძიმე სევდით დატანჯული მივიდა თავის მაგიდასთან, და ისევ ცრემლებით დაამთავრა თავისი მოთხრობა:

„მაგრამ... დაუნდობელმა სიკვდილმა ყლორტები მოსწყვიტა პაწია არსების სიცოცხლის გაუშლელი ყვავილი და მშობლები ობლად, ეულად დარჩნენ.“

დასწერა ეს უკანასკნელი სიტყვები და დამთავრდა მოთხრობა. ქაღალდი ისევ ცრემლებმა მორწყეს.

ქ. გერგეხელი



იოსებ იმედაშვილი ახოთ-ამწყობთა შორის 1916 წ.

# ერთი ცნობილი პოეტის აღსარება

ამ რამოდენიმე წლის წინედ ლექსების წერა დავიწყე, მაგრამ არსად მიბეჭდავდნენ: ახალგაზდა ხარო.

მწყინდა!..

გავიგე, რომ იოსებ იმედაშვილი ახალგაზრდა ხელოვანთ წამქეზებელიაო.

ჩავირბინე მის რედაქციაში.

იოსებმა მიმიღო და გამითბო გული, როგორც კეთილმა მოძღვარმა შემნანებელ მლოცველს, მასთან აღსარებისთვის მისულს.

პირველად დაბეჭდილი ჩემი ლექსი „თეატრი ცხოვრება“-ში ჩემთვის მეორე დაბადება იყო.

როგორც გულის ჯვარს, ისე ვატარებდი თან ამ ნომერს.

ამან, რასაკვირველია, ენერგია მომიმატა.

კალამი აღარ გამშორებია ხელიდან.

ი. იმედაშვილი კი განაგრძობდა ჩემი ლექსების ბეჭდვას.

ხშირად ლიტერატურულ შენიშვნებს მაძლევდა.

პატარა პოეტიდან უკვე ცნობილი პოეტი შევიქენი.

ყველგან პატივი მქონდა.

ახალ გამოსულ პოეტებს დიდგულად დავუწყე ცქერა.

უკვე მომეწყინა „თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქციაში და ახლად გამოსხმულ ფრთებით ფრენა მოვინდომე.

— „ნეტავი შენ, რომ დროს ხარჯავ მაგ დაძველებულ ჟურნალში მუშაობაზე. ან ვინ კითხულობს მას. გადმოდი ჩვენთან,—ნამდვილ ხელოვანთ დაინახავ და მათთანაც იმუშავებ“. მეუბნებოდნენ ზოგიერთ ორგანოს ხელმძღვანელნი.

დავუჯერე...

ვკარი ფეხი ჩემს აკვანს „თეატრი და ცხოვრება“-ს და გადავიხვეწე (?) მტრის ორგანოში.

დიდი ამბით შემხვდნენ, ჩემი წასვლა გაზეთში
გამოაცხადეს და ლექსებიც დამიბეჭდეს,

და მეც მათთან ერთად ვლანძღავდი და დავ-
ცინოდი იოსებსა და მის ორგანოს, ყველგან, ქა-
ლაქში, პროვინციაში...

ჩვენი ცდა იყო რედაქტორის მოსპობა.

იოსებმა იცოდა ყველა ეს,. მაგრამ შეხვედრი-
სას საყვედურის მაგიერ სალამს ღიმილით მაძლევდა,
თანაც მეუბნებოდა: ,,მიხარია შენი წინსვლა და
თუ ეხლანდელმა შენმა მოყვარეებმა აგიწუნონ, არა
უშავს, ჩემთან მოდი''.

იოსების ტაქტიკა მაკვირვებდა.

,,ალბად სულელია'', ვიფიქრე სხვებთან ერთად.

მე კი არ ვიცოდი, რომ ყოველ ორგანოს,
ერეს მონოპოლია აქვს გამოცხადებული და შოთა
რუსთველი მკვდრეთით რომ აღსდგეს, მაინც არ და-
ბეჭდევენ ლექსს.

მარტო აკაკი წერეთლის მაგალითი რათაც თუ-
და ღირს.

მათი მოცემული ვიზიტკა თურმე ნათხოვარი
ოფილა.

ისევ გამაძვრეს.

რაკი ნახეს ჩემში ნიჭი, შეეშინდათ ქიშპობისა
და მონოპოლისტებმა პანღური მკრეს.

დავრჩი ობლად.

მომაგონდა იოსების სიტყვები.

და თავ ჩაღუნული გავეშურე მის რედაქციისკენ.

იოსებს სულაც არ გაჰკვირვებია ჩემი მისვლა,
ითომ ეს მისთვის ჩვეულებრივი მოვლენა ყოფი-
ლიყვეს.

— „მოიტანე ლექსი?"

— „როგორ, შენ კიდევ მიბეჭდავ?"

— ,,ყოველთვის დავბეჭდავ. მე პიროვნება არ
ინტერესებს, მიყვარს ხელოვნება და ვინც მას
მსახურებით, ჩემი საყვარელი ძმები ხართ. ჭორების
ამოსადგომად სად მცალიან? ილაპარაკონ, მე კი
ვიმუშავებ...

დარცხვენილმა ლექსი მივაწოდე.

ამას იქით მე კვლავ გავხდი ,,თეატრი და ცხო-
ვრება''-ს თანამშრომელი.

**ხვ წერეთელი**



**იოსებ იმედაშვილი და მისი მახლობელი თანამშრომე-
ლნი პირველი საქ. სოც. დემ. გაზეთის ,,ხალხის თავის-
უფლების'' გამოცემის დროს ივ. გომართელი, მუშა მ.
დევძე, ი. სირაძე, ს. ერთაწმინდელი და ა. ხავთასი,**

# იოსებ იმედაშვილი

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება"-ს რედაქტორ-გამომცე-
მელი, მისი 25 წ. საზოგადო-სამწერლო მოღვაწეობის და
„თ. და ც." ათი წლის არსებობის გამო

დაიბადა 1876 წ. ს. ხამმზე, აღიზარდა ბორჩა-
ლოს მაზრაში, ბავშობა მწყემსობაში გაატარა.

დაბალი სწავლა მიიღო საქალაქო და სახელოსნო
სკოლაში, შემდეგ თვითგანვითარდა: გადიკითხა მთელი
ქართული, რუსული და უცხო მოწინავე მწერალთა ნა-
წარმოებნი.

სასცენო და სალიტერატურო მუშაობა დაიწყო 90-
იან წლებში, —სკოლაში სცემდა ხელნაწერ ჟურნალს თვი-
სი რედაქტორობით. 1892 წ. დაიწყო სცენის მოყვა-
რეობა, ხოლო 1893 წ. მისი მთავარი მონაწილეობით
დაარსდა სახალხო თეატრი ავჭალის აუდიტორია. აქ იყო
პირველი რეჟისორი და წრის იდეური ხელმძღვანელი.

მანვე შეადგინა წესდება სახალხო წარმოდგენების
მმართველ ამხანაგობის და წიგნთსაცავის დაარსებისა. ამა-
ვე ხანებში პირველი იგი ავრცელებდა სახალხო წიგნაკებს
რკინის გზ. ს მთავარ დეპოში. 1895—96 წ. დაიწყო
წიგნების გამომცემლობა. გამოსცა იმ დროისთვის საყუ-
რადღებო წიგნები: ირ. ევდოშვილის ლექსები, სვ. ჯუ-
ღელის „ველურობა და განათლება", „რა არის ხარკი", ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცინცაძის „რას იცინი“, ლ. ტოლსტოის „რისთვის ითვრება ხალხი“ (ეს წიგნები აკრძალეს); პიესების კრებული „ცხოვრების სარკე“ (ორი ტომი), მაქ. გორკის თხზულებანი (I ტომი) და მრ. სხ. მწერლობა დაიწყო 1895 წ. სწერდა „კვალში“, „ივერიაში“, „ცნობის ფურცელში“, „ლახვარში“ და სხ. სხვადასხვა ფსევდონიმებით. სწერდა წერილებს, მოთხრობებს, ლექსებს, იუმორისტულ ფელეტონებს, პოემებს. მისი პოემების: „ხალხის გმირი“, „სიყვარულის ძალა“. (ამის გამო პოლიტიკური დავა შედგა. სხვათა შორის ამ პოემაშია მთელი სიმღერა „ძირს ხემწიფე და მის ტახტი“. —ეს გამოკიდა 1903 წ. მაშინ როდესაც იოსებ იმედაშვილი ციხეში ჩასვეს), „ქვის მტვრეველი“ და სხვ.

სახალხო წარმოდგენებს მართავდა დაბა-სოფლებში, აგრეთვე დრამატიულ დასში მსახურებდა მსახიობად, თითქმის სამი წლიწადი. ცხრაასიან წლებში ავლაბრის განაპირა უბანში მოაწყო მუდმივი წარმოდგენები. პოლიტიკურ-პარტიული (სოციალ-დემოკ.) მუშაობა დაიწყო 1897 წლიდან, როგორც პროპაგანდისტ-აგიტატორმა. 1904 წლამდე მუშაობდა თბილისში და პროვინციაში, წრეებში და მიტინგებზე. 1905 წ. წიგნთ სავაჭროს თავი მიანება და გარე-კახეთს წავიდა რევოლიუციონურ მოღვაწეობის გასაჩაღებლად.

აქ მოძრაობის გაჩაღების ხანაში, როცა სოფლებში ძველი მთავრობის მამასახლისები გარეკეს, იგი ჯერ თავისმა სოფელმა აირჩია მამასახლისად, შემდეგ მთელმა გარე-კახეთმა მამასახლისთ-მამასახლისად, რომელსაც განუსაზღვრელი უფლება ჰქონდა. დიდი ამაგი დასდო სომეხ-თათართა შორის მომხდარ შეტაკების დროს მათ შერიგებას. პირველმა იოსებ იმედაშვილმა დააფუძნა გარე კახეთში რევოლიუციონური მთავრობა, რაიც აღნიშნული იყო სოც.-დემოკრ. გაზ. „სხივის“ პირველ ნომერში. პირველ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში საგუბერნიო ამომრჩეველი იყო და მისი დეპუტატობის კანდიდატურასაც კი ასახელებდენ, შემდეგ ორჯერ სამაზრო ამომრჩეველი იყო. სოფელში მუშაობის დროს გაიყვანა გზები, თეატრის აღორძინებას საძირკველი ჩაუყარა. პირველ მოძრაობის დროს მისი სოფელი ხაშმი ქვეყნად იყო მიჩნეული და ჩვენი დღევანდელი ზოგიერთი მოწინავე ამხანაგები აქ აფარებდენ თავს. მთელ გარე კახეთში ცნობილი იყო, როგორც ნიჭიერი აგიტატორ-პროპაგანდისტი.

1907 წ. ხულიგნები თავს დაეცნენ და დასჭრეს.

1909 წ. თბილ. ქართულ თეატრის დირექტორის მაგიერობას ასრულებდა.

1910 წ. იანვრის 2 გამოსცა პირველი სახელოვნო-სათეატრო ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“; ამავე წლის ოქტომბერში დაიჭირეს, ციხეში ჩასვეს და 4 წლის კატორღა გადაუწყვიტეს სოც.-დემოკრატიულ პარტიის წევრობის გამო. მას დაუმტკიცეს, სხვათა შორის, რომ ძველი მთავრობის წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდა: რუსის მთავრობისათვის არ მიეცათ ჯარი და ხარჯი.

სასჯელის მოხდის შემდეგ ჟურნალის გამოცემა განაახლა. ეს ჟურნალი, მიუხედავად მრავალ დაბრკოლებისა, დღემდე გამოდის.

ჟურნალის მოწინავე წერილები (მის კალამს ეკუთვნის) ეხება ხელოვნების და საზოგადობრივ ცხოვრების ყოველ მხარეს.

იგი იყო ერთი ძლიერი დამცველი საქართველოს ტერიტორიულ ავტონომიის და პირველმა გამოსცა თვისი რედაქტორობით პირველი „საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის“ გაზეთი „ხალხის ერთობა“ (შემდეგ „ხალხის თავისუფლება“). ამ გაზეთში თანამშრომლობდნენ ივ. გომართელი, მიხ. დევაძე, ი. სირაძე, გ. ლადოშვილი, ს. ერთაწმინდელი, ა. ხავთასი და სხ. ამ ჯგუფმა, ლადო დარჩიაშვილის შემდეგ, პირველმა გაშალა საქართველოს ავტონომიის დროშა.

ი. იმედაშვილი ცნობილია ლექტორადაც. რევოლიუციის შემდეგ ლექციებს კითხულობდა ყველგან: გასულ ზაფხულს მოიარა კახეთი, სამეგრელო, გურია. საგანი მისი ლექციისა: საქართველოს დამოუკიდებლობა, თანამედროვე საკითხები, ცხოვრება და ხელოვნება საქართველოს წარსული და სხ. შეადგინა კაპიტალური შრომა „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ (I გამოც. 1904 წ. II—1918), ციხეში ყოფნის დროს შეადგინა „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი.“ დაწყებული აქვს „შესანიშნავ ადამიანთა ლექსიკონი“. დაწერა პიესები:

„ახალ გზაზე“ (მოძრაობის დროიდან)· „ერთ ტაფაში“, „რისთვის?“. „სოფლის მიტინგზე“, „ქორწილი“, „მზის ამოსვლამდე“, „გამარჯვებული“, „შრომის შვილი“, „გზა ყვალზე“, „ალის გვირგვინი“, „ჩემი სჯულის სიყვარულია“, „ალების ცეკვა“, „დამჭკნარი ვარდი“, „ნამუსიანი ხალხი“, „ძეძუს მგმობელი“, „გვარდიელი“, „ზამთრის პირზე“; ისტორიული პოემა „პირი-მზე“, იუმორისტული რომანი „აახ—ვახ!“ („ივერიაში“) სხვადასხვა მოთხრობა, წერილები, ლექსები და სხ. სწერს თხუთმეტამდე სხვადასხვა ფსევდონიმით.

საქართველო-სომხეთის ომის დროს რედაქციის თავი გაანება და თვისი მცირე წლოვან შვილით და ძმით თავისუფალ მეომრად წავიდა ომში.

ომში თავის გამოჩენისათვის რესპუბლიკის მთავრობამ დააჯილდოვა წმ. გიორგის მე-4-ე ხარისხის ჯვრით.

ამ ჟამად თუმცა წვრილი შვილებით დატვირთულია (ჰყავს ექვსი შვილი) და ნივთიერადაც შევიწროვებული, მაინც ჭაბუკურის სიხალისით განაგრძობს საზოგადო, სამწერლო, სახელოვნო და პოლიტიკურ მოღვაწეობას.

ს. ჯილალი



## იოსებ იმედაშვილს

ცუდათ ხომ მაინც არა ჩაივლის
ეს განწირული სულის კვეთება
**ნ. ბარათაშვილი**

არის სიყვარული უკვდავი, მარადიული, რო-ლიც ვით მთვარე მარად ახლდება და მარად ელ-ვრებს.

ვინც განიცდის ასეთ სიყვარულს, ის განიცდის კვდავებას.

ასეთი სიყვარულის გზა ია და ვარდებით კი არის დაფარული, არამედ ნარ-ეკალით არის მო-ენილი, მაგრამ სიმშვენიერე და სიკეკლუცე ისე-ია დასახული მიზნის—კდემამოსილ მშვენიერების, რომ ის მაინც ვით ანდამატი თვისკენ გაზიდავს და ენც, მიუხედავათ სიძნელისა, მაინც მისკენ მიილტ-, „უძლევი ხარ შენ მას შემდეგ რაც, რომ იგრ-ნ ტრფობის ალი“.

იოსებ იმედაშვილიც ასეთი სიყვარულით არის ეპყრობილი. თუ არა ზეაღმტაცი ძალა ასეთ სიყ-რულისა ის ვერ შესძლებდა გამკლავებას იმოდენი ბრკოლება-გაჭირვებისა, რაც მას გადახდენია თავს ი წლის განმავლობაში ჟურნალ „თეატრი და ხოვრება“-ს გამოცემის გამო.

ამ ჟურნალმა კი ჩვენს ცხოვრებაზე წაუშლელი ლი დაამჩნია, რასაც, უეჭველია, ალბეჭდავს მომა-ლი მემატიანე ჩვენი ცხოვრებისა.

იოსების სიყვარულის საგანი, მისი სალმერთე-ლი და სამლოცველო საქართველო და ჩვენი დე-კრატიაა.

რა უყოთ, რომ ის ჩუმი, წყნარი სახალხო მო-აწეა: ქართველი ხალხის საკეთილდღეო საგანძუ-ს შექმნაში მასაც შეაქვს თავისი შრომა, წვლი-: „რაც შემეძლო ის ვიშრომე, ზრახვას ვინ რას ართლება?“ ოსკარ უაილდი ერთ თავის ნაწარმო-მი ამბობს: „ის მოგიღებს ბოლოს, რაც გი-რსო“! მეც მეფიქრება, რომ იოსებსაც აგრე არ უვიდეს.

რომ ეს აგრე არ მოუვიდეს, ჩვენ ვალდებული ით ყოველნაირათ გაუწოდოთ მას ჩვენი ძმური ხე-. მეც, პატივცემულო იოსებ, სტუდენტთა ერთი უფის დავალებით მოგესალმები და გილოცავ ძვი-ას დღეს თქვენი ჟურნალის არსებობის ათი წლის ვს.

**გურული სტუდენტი გ. ქ.**



## ძღვნად იოსებ იმედაშვილს

სიბნელით მოცულ მიდამოს
კვლავ მიანიჭე ნათელი
და ხელოვნების კანდელზე
დაანთე წმინდა სანთელი.

ათი წლის სპეტაკ შრომისთვის
დღეს ხარობს შენი ერია,
მხურვალე სალამს მოგიძღვნის,
ვინც გულით მადლიერია.

ტანჯულ-გვემული ბედისგან
შენიც ამღერდა ნაღარა,
ეყო, რაც სევდამ ეგ გული
მწარე ნაღველით დაღარა.

**ივ. ქილდელი**

## მისალმებანი

ათი წლის წინეთ ჟურნალი „თეატრი და ცხოვრე-ბა“ არარაისაგან შექმნა მოუსვენარმა იოსებ იმედაშვილმა და მას შემდეგ ვერა დაბრკოლებამ ქედი ვერ მოახრევინა ამ დიდათ ენერგიულ ადამიანს. ის ფაქტი, რომ ჟურნალ-ში უთანამშრომლიათ ახალგაზდების გარდა ბევრ ჩვენ ცნობილ მწერალ-მოღვაწეთ, იმის მაჩვენებელია, რომ „თე-ატრი და ცხოვრება“-ს ათი წლის არსებობა ნაყოფიერიც იყო, მხატვრულიცა და იდეურიც. თავის თავად ცხადია, რომ როგორც ყველაფერს ჩვენში, ამ ჟურნალსაც ჰქონდა საგრძნობი ნაკლი, იგი ხანდახან მეტად მკრთალად მო-გვევლინებოდა, მაგრამ იმ აუტანელ პირობებში ამ დაბრ-კოლების აცდენა ყოვლად შეუძლებელი იყო. მომავალში, იმედია, ეს ასე არ იქნება.

პირადათ მე „თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქტო-რისაგან დიდათ ვარ დავალდებული ჩემ ორ პიესათა ჯერ ჟურნალში მოთავსებით და მერე ცალკე წიგნებათაც ფაქიზათ გამოცემისათვის. მისი ჩემდამი ძმური და უანგა-რო მოპყრობა დაუვიწყარია ჩემთვის და ვუსურვებ მას ხანგრძლივ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ჟურნალს-კი ყოველ-მხრივ წარმატებას.

მოუსვენარო კაცო სალამი შენდა!

ძმური პატივისმცემით „თეატრი და ცხოვრება“-ს
თანამშრომელი **ტრიფონ რამიშვილი**

---

### ღ ი ა  წ ე რ ი ლ ი

დღეს ბევრი რამ დაიწერება თქვენის ჟურნალის შე-სახებ, ბატონო იოსებ, და მე წინათვე ვიცი, ჩემი უძლუ-რი კალამი ისე კარგათ და ლამაზ სიტყვებით ვერ გამოხ-ხატავს ყველა იმ სარგებლობას, რაც თქვენმა დაუღალავ-მა მუშაობამ მოუტანა „თეატრი და ცხოვრები“-თ თე-ატრსა და ცხოვრებას.

ამ გამოცემას ჯერ საზღვარგარეთვე დიდის აღ-ფრთოვანებით მივეგებე და რითაც შემეძლო დავეხმარე კიდეც. აქ-კი ყოველთვის ის მაკვირვებდა, თუ როგორ ახერხებდით თქვენ, ბატონო იოსებ, ასეთ სიძვირეში ჟურ-

ძილის გამოცემას და მისი საუცხოვო სურათებით შემკობას?

როცა გეკითხებოდით, პასუხის მაგივრად ისე გამიღიმებდით ხოლმე, რომ ეს ღიმილი ყველა პასუხსა სჯობდა.

მოგილოცავთ რა ამ თქვენს დღესასწაულს გულწრფელად, სხვებთან ერთად შევყვირებ: ვაშა თქვენს ენერგიას, ვაშა თქვენს ცნარს!

დავშთები მარად თქვენი პატივისმცემელი

**გ. ჯაბადარი**

——

ათი წლის განმავლობაში გულს უკაწრავდა „თეატრი და ცხოვრება"-ს შავი ყორნის ბრჭყალები, მაგრამ ყოველივე ამასაც რომ არ მივაქციოთ ყურადღება, საკვირველებად ისიც საკმარისია, რომ იგი ათი წლის განმავლობაში საზრდოობდა და საზრდოობს მხოლოდ და მხოლოდ ქართველ მკითხველის თანაგრძნობით, რაც იმის მომასწავებელია, რომ ამ ჟურნალს ღრმა სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურნია ქართველ საზოგადოებაში.

„თეატრი და ცხოვრება"-ს რედაქტორს თამამად შეუძლია აღიაროს, რომ ათი წლის განმავლობაში მრავალ ხელოვანთა პირველი სტრიქონები გადაუშალა წინ მკითხველს, და საუკეთესო ყვავილები პოეზიისა აღზარდა თვის წიაღში.

ამ ჟამად არ ძალმიძს ჩამოვთვალო მათი სახელები, რომელთაც ქართველი მკითხველი პირველად ამ ჟურნალის ფურცლებზე გაეცნო. ამ გზას დღესაც ადგია ჟურნალი, ახალგაზრდა მწერლებისათვის ღიაა ჟურნალის კარები და ეს ცოტა არ იყოს აფერმკრთალებს მის შინაარსს.

მომავალში, ღრმად დარწმუნებული ვარ, „თეატრი და ცხოვრება" გადახალისდება როგორც შინაარსით ისე ფორმატით და თუ დღეს უსახსრობის გამო იძულებულია მხოლოდ პაწია წერილებით დააკმაყოფილოს თვისი მკითხველი, შემდეგში საშუალება მიეცემა მოათავსოს უფრო ვრცელი და მხატვრული ნაწარმოებნი. ამ იმედით გულწრფელად მივესალმები მის ათი წლის არსებობის დღესასწაულს.

**მიხ. ბოჭორიშვილი**

——

**ს ა ლ ა მ ი!..**

გულწრფელ სალამს უძღვნი ჩვენი ქვეყნის ლიტერატურის და ხელოვნების განათებულ და გაცისკროვნებულ ტაძარს,—ჩვენ ლიტერატორთა და ხელოვანთა აღმზრდელს და ჩვენი მწერლობის აკვანს—„თეატრი და ცხოვრება"-ს!..

„თეატრი და ცხოვრება" —ეს ჩვენი ერის სარკე იყო, სადაც ჯერ კიდევ მონობის დროს ხელ-ფეხ შებორკილი ხალხი ამოიკითხავდა დახშულ გონების ამსხნელ და ნათელ მომავლის იმედების განმახორციელებელ სიტყვებს...

ჩვენი დროის მრავალმა ქართველმა მწერალმა აიდგა აქ ფეხი და მრავალიც აიდგამს მომავალში!..

დღეგრძელობა და სალამი მას, რათა ჯერ კიდევ დიდხანს ენთოს შიგ ჩაუქრობელი ლამპარი ხელოვნებისა!.. და თუ აქამდე ის გვიგალობდა მშობლიურ ხმაზე გამამხნევებელ იმედებს, დღეს ჩვენ განუმეოროთ მას:

ამაღლდი, ფრთები შეისხი!..

და თუ აქამდე მონობის უღელი გვედგა და ჩვენთვის საჭირო იყო ერთგვარი საიმედო დასაყრდნობი, დღეს გამოურკვევლობა დაჰპატრონებია ჩვენ სალიტერატურო შემოქმედების სარბიელს და პირველობა მისი იქნება, ვინც გვიხსნის ამ მდგომარეობიდან, სწორე მიმართულებას დაგვისახავს და სამშვიდობოზე ნათელ გზით გაგვიყვანს!..

**არჩილ მაჭავარიანი**

——

**ძვირფასო ძმაო იოსებ!**

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" 10 წლის არსებობის იუბილე,—ეს ხომ შენივე იუბილეა! მე კარგათ მახსოვს ჟურნალის დასაწყისიდან, თუ შენ როგორც მოსიყვარულე დედა თავ-გამოდებული მზრუნველობით თავს ევლებოდი შენს პირმშო შვილს —„თეატრს და ცხოვრებას".

მთელი სიმძიმე გამოცემისა, განსაკუთრებით თვითმპყრობელობის დროს, მხოლოდ შენ გაწვკისერზე, ვინაიდან, მთელი შავი მუშაობაც და იდეური ხელმძღვანელობაც შენსავე ხელთ იყო.

თითქოს შენთვის აღარ არსებობდა ოჯახი, პირადი მოსვენება: მთელი დრო თავს ევლებოდი მამადლიან საქმეს და, მოხარული, ვარ, რომ დღემდის პირნათლად მოიყვანე ეგ სიმპატიური ორგანო.

ეხლა კი, შენგანაც დიდის-ხნის ნანატრი, უკვე თავისუფალი სამშობლო მხარე და გამრავლებული თანამგრძნობნი გაათოლადებენ შენს იშვიაენერგიას და საქმის სიყვარულს ჟურნალის საკეთილდღეოდ.

უმთავრესად მე გისურვებ ჯანმრთელობას, ვინაიდან დარწმუნებული, რომ უკეთუ ჯანსაღად იქნები,—კიდეც რომ გინდოდეს, თავს ველარ გაანებებ უკვე შენთან შესისხლხორცებულ სასიქადულო საქმეს...

ჟურნალს გულით უსურვებს წარმატებას და შენ კიდევ ძმურ სალამს გიძღვნის შენი ძველი მეგობარი

**გ. ახალციხელი**

---

**რედაქციისგან** დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ამ ნომერში ვერ მოთავსდა ბევრ თანამშრომლის წერილები და სურათები.

---



|  |  |
|---|---|
| სარედაქციო კოლეგიის დავალებით | დარია ახვლედიანის |
|  | ქ. გერგესელი |
|  | მუშა მიხა დევაძე |
|  | ი. მოსაშვილი |
|  | სვ. წერეთელი |

**იოსებ იმედაშვილი** რედაქციაში მუშაობის (წერვის) დროს და **ს. აბაშელი** (ლექსს სწერს) ნახატი ლ. გუდიაშვილის 1916 წელ.

სტამბა ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობის, რუსთაველის პრ., № 26.